



# შირაკი



## SHIRAKI

გამოცემის №80 წელი

გამოცემის 1937 წლიდან  
დაღოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№30 (9.839)

11 - 18 აგვისტო 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## ომიდან 10 წლის უემდეგ...



გვ. 2

## აგვისტოს გმირის სსოვნას მიეძღვნა

გვ. 6




## დაღოფლისწყაროს საკათიო მოქალაქეები დასახელდნენ



გვ. 2

## ინფრასტრუქტურული პროექტები ბრძელდება



გვ. 3

## აგვისტოს ომის გმირები



გვ  
4  
5  
6



## ბიბლიოთეკიდან - პრანის ჯინჯურაძე



გვ. 2

## ქველმოქმედებით უცვლილი ცხოვრება...



გვ. 8



# დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეები დასახელდნენ

2 აგვისტოს საღამო ტრადიციულად აღინიშნა დედოფლისწყაროში. ქართული ესტრადის მომღერლების მონაწილეობით „დედოფლისწყარო-2018“-ის გრანდიოზული გალა-კონცერტი ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე ჩატარდა. შადრევანთან შეკრებილ დედოფლისწყაროელთა განწყობაზე ანრი ჯოხაძე, ნინი შერმადინი და თიკა ჯამბურია ზრუნავდნენ.

დედოფლისწყაროელებს დაესასწაული ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეთუფე დიმიტრი კაპანაძემ, კახეთის მხარის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგივილიმა, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილიმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილიმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილიმა მიულოცეს.

უკვე მერამდენე წელია, ტრადიციად იქცა „დედოფლისწყარო-2018“-ის დაკავშირებით გამოვლინდნენ დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეები და წარმატებული დედოფლისწყაროელები.

გალა-კონცერტზე დაჯილდოვდნენ 2018 წლის საპატიო მოქალაქეები, რომელთაც საგანგებოდ დედოფლის-

ყაროს სიმბოლიკით გაფორმებული მედალიონები გადაეცათ. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, წელს დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეები არიან: ცნობილი სპორტსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, რაიონის კოლორიტი, ტენიზის მსოფლიო ჩემპიონი, აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და საქართველოს NATO-ში განვლიანების პროცესში შეტანილი წვლილისთვის – მიხეილ ღარჩიაშვილი, ცნობილი ექიმი – გულნარა პოპიაშვილი, კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისთვის – ნანა ჭიჭინაძე და ღვანლმოსილი პედაგოგი - ვიოლეტა ღვინიაძე.

იმავ დღეს, ნიკოლოზ ჯანიაშვილიმა მუნიციპალიტეტის 2018 წლის „წარმატებულ დედოფლისწყაროელებად“ საჯარო სკოლების მედალოსნები დაასახელა და მათ შემდგომი წარმატებები უსურვა. წელს ჩვენს მუნიციპალიტეტს 25 მედალოსანი ჰყავს. მათ, მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილიმა, გადასცა სიგელები, ბრწყინვალე მომავალი და დასახული მიზნების ასრულება უსურვა ახალგაზრდებს.

გალა კონცერტი ფოიერვერკით დასრულდა.



## ბიბლიოთეკიდან – პრესის ჯიხურამდე...



„მე არცთუ ისე დალხენილი ბავშვობა მქონდა, რადგან ობლად გამზარდა ჩემმა ამაგიანმა დედამ. გაჭირვების მიუხედავად, ის მაინც ახერხებდა ჩემთვის წიგნების ყიდვას. სწორედ მან შემეყვარა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა. დედის დამსახურებაა, რომ სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც კარგი მოსწრებით გამოვიჩინე (სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე), დაუსწრებელ განყოფილებაზე ვსწავლობდი და პარალელურად ვმუშაობდი და პარალელურად ვამრავლებდი“ — ასე იწყებს ჩვენთან საუბარს მარია ჯანიაშვილი, რომელსაც კარგად იცნობს დედოფლისწყაროს საზოგადოება. ბაზრის მიმდებარედ არსებულ პრესის ჯიხურს ყოველდღიურად უამრავი ადამიანი სტუმრობს...

წიგნებისადმი მისი გამორჩეული და-

მოკიდებულება ჯერ კიდევ წლების წინ დაიწყო, მაშინ, როდესაც სოფელ ნითელწყაროს ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. უფროსი დედა და თითოეულ წიგნს, ესათუებოდა და მკითხველს სიხარულით ურჩევდა მისთვის საყვარელი მწერლების ნაწარმოებებს... მერე იყო 90-იანი წლები, ქაოსი, განუკითხაობა, გადაფასებული ღირებულებები და დახურული სოფლის ბიბლიოთეკები... გული სტკიოდა, მაგრამ სინანული და რამდენიმე ადამიანის პროტესტი საქმეს ვერ შევლოდა... ამიტომ ბედს შეეგუა, დასახლისობას დასჯერდა... თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა. დედის გარდაცვალების შემდეგ იმ ჯიხურში დაიწყო მუშაობა, სადაც დედამისს – ქალბატონ ლამარას თითქმის მთელი ცხოვრება ჰქონდა გატარებული.

როგორია გზა ბიბლიოთეკიდან პრესის ჯიხურამდე, რა არის ის ოცნება, რომელიც ვერ აიხდინა, ამას მაიასთან ინტერვიოდან გაიგებთ.

— **მაია, რამ განსაზღვრა შენი პროფესიის არჩევანი?**

— ჩემი პროფესიის არჩევანი განსაზღვრა ჩემმა დამოკიდებულებამ წიგნებთან და ბავშვებთან. მინდოდა, პედაგოგი გამოვსულიყავი, მაგრამ, როგორც ხედავთ, არ გამოვივიდა. თუმცა, ამ სამსახურიდან არ ვარ უკმაყოფილო.

— **რას ნიშნავს თქვენთვის პრესასთან და წიგნებთან ურთიერთობა...**

— დედა ამ ჯიხურში 45 წელი მუშაობდა და ყოველდღიურად ეცნობოდა პრესას, მერე სახლში მიყვებოდა ახალ ამბებს. მისი ავადმყოფობის შემდეგ, იძულებული გავხდი, მისი ადგილი დამეკავებინა და არც ვნანობ. მიყვარს ჩემი სამსახური, ვეცნობი ყოველდღიურ პრესას და მომხმარებელს ვთავაზობ ახალ-

ახალ გაზეთებსა და ჟურნალებს.

— **დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ თანამედროვე პრესა აღარაა აკადემიური და ის ყვეთელმა პრესამ ჩანაცვალა, ბევრი ამას თავისუფალი ბაზრის პრინციპებს აბრალებს და ამბობს, რომ სწორედ ამგვარი გაზეთები აინტერესებს საზოგადოების დიდ ნაწილს... თქვენ ყველაზე კარგად იცით მკითხველთა ინტერესი, რას იტყვით, მაინც რა კატეგორიის ჟურნალ-გაზეთებზეა მოთხოვნა?**

— გაზეთებით, ძირითადად, საზოგადოების საშუალო ფენა დაინტერესებული, თანაც უფრო პოლიტიკური და სოციალური ხასიათის გაზეთები აინტერესებთ, როგორცაა „კვირის პალიტრა“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „ახალი თაობა“, „რეზონანსი“ და ა. შ. ჩვენი რაიონის გაზეთი „შირაქი“ ძალიან უყვარს ჩემს მომხმარებელს.

აზროვნება ყველა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანის მოვლენა უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ განათლება ადამიანის გონებიდან განდევნის ველურობას, ბარბაროსობას და სისასტიკეს, თუმცა, ზერელე განათლება სრულიად საპირისპირო შედეგის მომტანია. განათლება ადამიანს ღირსებას მატებს, ამიტომ ვურჩევ ყველას, მათ შორის კი ჩემს შვილს, რომ, რაც შეიძლება ბევრი იკითხოვს წიგნს და გაზეთს.

— **რაიმე კუროზს ხომ არ გაიხსენებდით თქვენი მოღვაწეობის ისტორიიდან?**

— კუროზების მეტი რა ხდება ჩემს ჯიხურში? (იცინის). გაზეთს რომ ნაიკითხავენ, ზოგს არ მოეწონება რაღაც სტატია და ჩემთან გამორბის, ნახე, ეს რა დაუნერიათ და რატომ წერილი... დამნაშავეს ჩემთან ეძებენ...

— **საყვარელი ფრაზა...**

— ამ ცხოვრებაში ყველაზე აუცილებელი ჯანმრთელობაა და ჩემი ფრაზაც

ესაა. მინდა, საქართველოში არ იყოს ადენი ავადმყოფი ადამიანი, განსაკუთრებით, ბავშვები.

— **სამი სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს თქვენს ცხოვრებას...**

— სიყვითე, მშვიდობა და კარგი ურთიერთობა ხალხთან...

— **ყველაზე ჭკვიანი ადამიანი, ვის რჩევასაც მუდამ ითვალისწინებდით...**

— ცხოვრებაში ბევრ ჭკვიან ადამიანს შევხვედრივარ, სკოლაში, ინსტიტუტში, შემდეგ-სამსახურში თუ ისე, ცხოვრებაში და დღემდე ყველა მათგანის რჩევა გამითვალისწინებია, მნიშვნელობა არა აქვს, ის ასაკით უფროსი იყო თუ უმცროსი...

— **საყვარელი წიგნი ან ნაწარმოები, რომელმაც შენს მსოფლმხედველობაზე გავლენა მოახდინა?**

— ყველაზე მეტად მიყვარს ქართველი მწერლებიდან ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი, მსოფლიო კლასიკებიდან - რემარკი და დიუმა, მომწონს ბალზაკის „შაგრენის ტყავი“.

— **რჩევა, რომელსაც სმირად აძლევთ თქვენს შვილს...**

— მინდა, რომ ჩემი შვილი იყოს კეთილი, მშრომელი, განათლებული, უფროსის პატივისცემელი და, რა თქმა უნდა, წარმატებული. ჩემი რჩევებიც ამ სურვილებიდან გამომდინარეა...

— **როგორია შენი ერთი დღე?**

— ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, მონოტონური და დინამიური დილდინ-სალამომდე, მაგრამ ამავე დროს არაჩვეულებრივი, სავსე ადამიანური ურთიერთობებით და მრავალფეროვანი მოვლენებით. ამიტომ, ჩემი არცერთი დღე ერთმანეთს არ ჰგავს...

ესაუბრა ინგა შიოლაშვილი

# ინფრასტრუქტურული პროექტები ბრძელდება



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მონაცემების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის თანამშრომელთან, ავთანდილ თეთრაულთან და ზემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში

მერის წარმომადგენელთან, ბეჟან სუხაშვილთან ერთად ზემო ქედი - არხილოსკალოს დამაკავშირებელი გზის 8 კილომეტრიან მონაკვეთზე დასრულებული სამუშაოები დაათვალიერა. სამუშაოების ფარგლებში, დაიგო ასფალტის საფა-

რი, მოეწყო თანამედროვე სტანდარტების საფეხმავლო ტროტუარები და დამონტაჟდა სიჩქარის შემზღვეველი ბარიერები.

შეგახსენებთ, რომ ზემო ქედი-არხილოსკალოს დამაკავშირებელი გზის მშენებლობა ნნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდა. აღნიშნული სამუშაოებით პროექტი დასრულდა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს უკვე აქვს სოფლებთან დამაკავშირებელი უმაღლესი სტანდარტების გზა.

\*\*\*

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მონაცემების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამ-



სახურის წარმომადგენელთან, ავთანდილ თეთრაულთან ერთად ქ. დედოფლისწყაროში, ვაჟა-ფშაველასა და კახეთის ქუჩებზე მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. პროექტის ფარგლებში, გზის აღნიშნულ მონაკვეთებზე მიმდინარეობს

ასფალტის საფარის დაგება და სანიაღვრე სისტემის მოწყობა. ქ. დედოფლისწყაროში ნელს გზის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები ლეონიდის, ევდოშვილის, თამარის ქუჩებსა და 9 ძმის პირველ შესახვევებზე იგეგმება.

## ომიდან 10 წლის უმედეგ...

რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წელი გავიდა, 10 ტკივილიანი წელიწადი. დროის მიუხედავად, არ ნაღდება ის ემოცია, რაც 2008 წელს რუსულმა ავიაციამ გამოიწვია. ეს შვესო მთელ საქართველოს, ყველა ოჯახს, თითოეულ მოქალაქეს... ბრძოლი, ტკივილი, შიში - ის ის განცდაა, რომელიც ყველამ განიცადა. ხუთდღიანი ომის შედეგი იყო მიწა - დაღუპული ადამიანები, უსახლკაროდ დარჩენილი დევნილები, დაკარგული და ოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიის 20%... ომი დღემდე ბრძელდება - საკუთარ ეზოებსა და გაღებულ გავლასთან გათვალისწინებით, დაკარგული საფლავებით, პარანაუნტულად მოტაცებული ადამიანებით... ომიდან 10 წლის უმედეგ კვლავ აქტუალურია საქითხი - არ შესრულდა ის ეპოსოპეტიანი შეთანხმება, რომელიც ჩამოთვლილი პირობების რუსეთს ჯერ კიდევ 2008 წელს უნდა დაეკავშირებინა... საქართველო კი მოთმინებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ომი საკუთარ ტერიტორიაზე არ დაუწყია...

2008 წლის აგვისტოს ომის 10 წლის-თავთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობიდან აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალამდე ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელების, საჯარო მოხელეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით სამგლოვია-

რო მსვლელობა გაიმართა. მემორიალის გვირგვინით შემკობის შემდეგ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ ომში გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა და შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა გარდაცვლილი გმირების ღვაწლზე ისაუბრეს და გიორგი აბიათარისა და გონა ილურიძის მშობლებს, რომლებიც მემორიალთან იმყოფებოდნენ, სასახელო მამულიშვილების აღზრდისათვის მადლობა გადაუხადეს. ნიკოლოზ ჯანიაშვილი - „ძალიან ძნელია ამ დღეს საუბარი, როცა სათქმელი ბევრია, მაგრამ ტკივილი ამის საშუალებას არ გვძლევს. დიხ, აგვისტო დაკავშირებულია ტკივილთან და ამავე დროს სიამაყესთან, სიამაყესთან იმისა, რომ ათასჯერ ძლიერმა ძალამ ქართული სიამაყე ვერ გატეხა. და დღეს ჩვენ ვსაუბრობთ საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე, მის განვითარებაზე და მომავალს იმედის თვალთ შევყურებთ... ეს საამაყოა, მაგრამ მეორე მხრივ, აქ ბრძანდებიან აგვისტოს გმირების გამზრდელი დედები-ქალბატონები: ღიზა და მანანა, რომელთაც აწუხებთ შვილების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი... ერთადერთი შვილი ჰყავდა ქალბატონ ღიზას, ალბათ, სულ სხვაგვარ მომავალზე ოცნებობდა თავისი შვილისთვის, მაგრამ ომმა გეგმები შეცვალა - ღიზა



აბიათარმა ერთადერთი იმედი სამშობლოს შესწირა... ეს ის ტკივილია, რომელსაც დრო ვერ გააფერმკრთალებს, ერთადერთი, რასაც ამ ტკივილის შემსუბუქება შეუძლია, ეს ქვეყნის გამთლიანებაა, იმ იდეის ხორც-შესხმა, რისთვისაც ამ ახალგაზრდებმა სიცოცხლე განირგეს.“ მუშუა დიმიტრი (კაპანაძე) - „მადლობა და დიდება იმ ქართველ ვაჟკაცებს, ვინც თავი გასწირა სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში. ძალიან ძნელია, წარსულში ილაპარაკო იმ ახალგაზრდა ხალხზე, ვინც ითვლებოდა სა-

წუხელიდის, შინდისის გმირების, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან გარდაცვლილი ახალგაზრდების შესახებ, რათა მომავალმა თაობამ იცოდეს, რისთვის იბრძოდნენ ისინი. ეს იქნება ჩვენი ქართველობის, ჩვენი იდენტობის გადარჩენის საფუძველი.“ ნუზარ პაპიაშვილი - „მე გაოცებული ვარ ამ დედების შემართებით, რომელთაც თავიანთი შვილები აგვისტოს ომს შეწირეს. ომი ყოველთვის სამინელეობაა, მაგრამ სამინელეობაა, როცა შენზე ბევრად ძლიერსა და დიდს ეომები. აგვისტოს გმირებში ქართველი წინაპრების



ქართველოს გენოფონდად. სამშობლოს დაცვა - ეს ყველას წმინდაა წმინდა ვალია. მე გული მწყდება, რომ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ მთავარია, ადამიანმა თავისი პირადი კეთილდღეობა მოიწყოს და მნიშვნელობა არ აქვს, სად იქნება ის, საკუთარ ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ... ასე რომ ეფიქრა ჩვენს წინაპარს, დღეს საქართველო აღარ იარსებებდა. საბედნიეროდ, ასე მოაზროვნე ადამიანები ბევრნი არ არიან. ჩემი აზრით, განათლების სამინისტრომ ინფორმაცია უნდა შეიტანოს სახელმძღვანელოებში ჩვენი გმირების თაობაზე, იგივე, გიორგი ან-

სულმა გაიღვიძა და მტერს არ დანებდნენ... ამ ბიჭებმა გმირულად იბრძოლეს, შეასრულეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი და მარადისობაში გადაინაცვლეს... ჩვენ ქედს ვიხრით მათი გმირობისა და სსოვნის წინაშე. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მომავალმა თაობამ იცოდეს, ამ ბიჭების მიზანი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობა, ამიტომ ყველანაირი ბრძოლით - იქნება ეს პოლიტიკური თუ ზნეობრივი, უნდა მივალნიოთ ამ მიზანს. მაშინ ჩვენი გმირების დაღვრილი სისხლი უკვალოდ არ ჩაივლის.“

ინგა შილაშვილი





# გიორგი მარსაგივილი — გიორგი აკი პაუიდან „კობრა“ აპვისტოს ომის კიდევ ერთი დედოფლისწყაროელი გმირი, რომელიც მარადიული „ღიმილის ბიჭების“ არმიას შეუერთდა



გიორგი მარსაგივილი, ზემო ქველი ახალგაზრდა, განსაკუთრებულ დავალებათა მისაღებ სამხარეთველოს სწრაფი რაზმის მეთაურის მოხარული მეთაურის მოადგილე, იმ გმირებს შორისაა, რომელთა კვალიც ცხინვალში იტარება.

საქართველოს კანონმდებლობით, თუ ადამიანი ორი წლის განმავლობაში ვერ მოიძებნა, გარდაცვლილად ცხადდება. შესაბამისად, კანონით, გიორგი მარსაგივილიც რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულად არის მერაცხული, თუმცა მისი ცხედარი აღმოჩენილი ვერ იქნა და მისი გაუჩინარებაც ბურუსითაა მოცული. გიორგი მარსაგივილის შს სამინისტროში მუშაობა სამი თვის დაწყებული შეწყდა. განსაკუთრებულ დავალებათა მე-3 სამხარეთველოში კონკურსის

წესით შეირჩა. ოჯახს იგი 2008 წლის ივლისიდან აღარ უნახავს. ომში წასვლამდე ერთი თვე კოდორში იყო მივლინებით. თბილისში 7 აგვისტოს დაბრუნდა და სახლში მისვლაც ვერ მოასწრო, რადგან შს სამინისტროში, ცხინვალში შექმნილი ვითარების გამო, ყაზარმული მდგომარეობა გამოაცხადა.

გიორგი 1981 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა დედოფლისწყაროში. პატრიოტი ახალგაზრდა აგვისტოს ომში პირველივე დღეებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მას მეუღლე და ერთი შვილი დარჩა, ლიზი, რომელიც ნოემბერში 10 წლის გახდა.

**ალნა მარსაგივილი, გიორგი მარსაგივილის მეუღლე:** „გიორგი ერთი თვე ნანახიც არ გვყავდა. კოდორში იყო. იქიდან ჩამოსვლა მოასწრო, სანამ სიტუაცია გართულდებოდა, მაგრამ

ჩამოვიდა თუ არა, ყაზარმული გამოცხადდა. სახლში მოსვლა ვეღარ მოასწრო, წავიდა ომში და იქიდან აღარ დაბრუნებულა.

**ბოლოს როდის ესაუბრეთ მას?**

— 7 აგვისტოს ვესაუბრე ტელეფონით, მაგრამ იქ არსებულ სიტუაციაზე, რა თქმა უნდა, არაფერს ამბობდა. მას შემდეგ ვეღარ დავუკავშირდით. ვიცით მხოლოდ, რომ ააფეთქეს დაჯავშნული ავტომანქანა „კობრა“, რომელშიც ის იყო ეკიპაჟის რამდენიმე წევრთან ერთად. ჩემი მეუღლე დღემდე ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად. კანონის შესაბამისად ორი წლის შემდეგ ის გამოაცხადეს დაღუპულად, მაგრამ დღემდე მისი ცხედარი ნაპოვნი არ არის. რომ ვეღარ დავუკავშირდით, ნაწილში მივედით, გვითხრეს ჯერ არაფერი ვიცითო, დღემდე ასეა. ჩვენ მინდობილი ვიყავით შს სამინისტროზე და გვევრა და გვანს, რომ უტყუარ ინფორმაციას მოგვანოდებდნენ.

**გაქეთ იმედი, რომ ის ცოცხალია?**

— იმედი მთელი ცხოვრება გვექნება, რადგან ჩვენ არ დაგვიმარხავს ის და არ გვინახავს მისი ცხედარი. არ ვიცით სინამდვილეში იქ რა მოხდა, ამიტომ, რა თქმა უნდა, იმედი არის.

**რა შეგიძლიათ გაიხსენოთ მის შესახებ, რას იხსენებენ მისი თანამშრომლები?**

— ამ თემაზე საუბარი არ უყვართ, არაფერს ამბობენ და არც იხსენებენ, იმიტომ რომ „კობრას“ ეკიპაჟი მთლიანად დაიღუპა. ჩემი მეუღლე მამინ 26 წლის იყო, ბავშვი სამი წლის ხდებოდა, მაგრამ მამა ძალიან კარგად ახსოვს. დღე არ გავა, არ გაიხსენოს.

იცის, რომ მამა ომში დაეღუპა, მოუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა იყო, როგორც ჩანს, ოჯახში, ჩვენი საუბრებიდან გაანალიზა, მე მისთვის კონკრეტულად არაფერი მომიყოლია. ლიზი მამამისის ასლია, ერთმანეთის განსაკუთრებული სიყვარული შეინდათ, ჩემს შვილს არ გავათხოვებ, ეს მამიკოს სიცოცხლეაო, ამბობდა. თავისუფალ დროს სულ ვვიღებთ ატარებდა. ძალიან უყვარდა თავისი სამსახური, ძალიან მოწოდებული და პატრიოტი, სულით სრულად იყო ჩართული თავის სამსახურებში საქმიანობაში. დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ფორმას, რომელიც მან ჩაიცვა.

**ცხინვალის ცენტრში შესვლას დიდი გაბედაობა სჭირდებოდა...**

— დიას, ეს იყო ძალიან დიდი გმირობა. ის მოხდა იყო, სისხლი და ზეიმი მანაც თავისას შერბა,

ეს მამაცომა მას ბავშვი ჰქონდა. შვილმა ბრძოლაში კიდეც სავრთხეს, გოლო პერიოდში აპვიტაჟული ჰქონდა, მე მთავარი უნდა დავიმარტოო.

**როგორ ფიქრობთ, მისმა ქვეყანამ დაუფასა გმირობა თქვენს მეუღლეს?**

— დიას, ძალიან დიდ ყურადღებას ვგრძობთ შს სამინისტროს მხრიდან. საჩუქრად ბინა გადმოგვცეს, დამასაქმეს. ბავშვზე ზრუნავენ, კარგ სკოლაში მიყვანეს და ყოველთვის იზიარებენ ჩვენს გასაჭირს და პრობლემებს.

**როცა ადამიანს არა აქვს საფლავიც კი და ის ცხადდება გარდაცვლილად, ალბათ ერთის მხრივ ძალიან მიძიმება, მაგრამ არის თუ არა ეს დამამძიმებელი გარემოება თქვენთვის?**

— როცა ადამიანს არ დასაფლავებ, მაინც რაღაც გულის სიღრმეში არის და სანამ ვიცოცხლებთ, გვექნება იმედი, რომ ოდესმე გამოჩნდება.



## აპვისტოს გმირის ხსოვნას მიეძღვნა

შინდისის გმირის, თეიმურაზ ბერიძის ხსოვნას მიეძღვნა საფეხბურთო ტურნირი, რომელიც სოფელ ფიროსმანში ჩატარდა. ამგვარი ტურნირი სოფელში ყოველწლიურად იმართება.

მემორიალურ ჩემპიონატში სოფლის 6 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს „მარანი“ და „ზემო უბანი“ დაუპირისპირდნენ, საფინალო შეხვედრაში კი „მარანი“ „ზემო უბანს“ ანგარიშით - 6:2 სძლია და ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა.

ტურნირის გამარჯვებულები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანაიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის ხელმძღვანელმა აკაკი ნატროშვილმა სიგელ-ბით, მედალებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს.

კაპრალი თეიმურაზ ბერიძე 2008 წლის 11 აგვისტოს სოფელ შინდისში სნაიპერის ტყვიით დაიღუპა, ის დაჭრილიც კი მამაცურად ებრძოდა მტერს. მონინალმდეგის ალყაში მოქცეული და თავგანწირვით მებრძოლი ქართული ოცეულის გმირობის ისტორია მთელი საქართველოსთვის სამაგალითო გახდა.

ფიროსმანელი შინდისის გმირის, თეიმურაზ ბერიძის სახელობის საფეხბურთო ტურნირი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით წელს მეშვიდედ ჩატარდა.



## გამქრალი სოფლები — ქურთა, ძარწები და სხვები...

სოფელ ქურთიდან სოფელ ძარწემამდე 15 წუთის გზაა.

ქურთა დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებული სოფელი იყო, ძარწემი - მარცხენაზე. სავეს სახნავ-სათესი მიწებით, ხილის ბაღებით, ვენახებით. ცოცხალი და აქტიური, აყვავებული და მდიდარი, - ქურთის სასწრაფო დახმარების ექიმი, ნუნუ ჭოველიძე სწორედ ასე იხსენებს, - თითქოს მინაც დალოცვილი იყო, ყველაფერი ხარობდა, რასაც იქაურები დასთესდნენ, - გვითხრა. წეროვნის დევნილთა დასახლებაში მიმოიხედეთ, სადაც ლამაზ ეზო-კარს შენიშნავთ, სულ ჩვენი ხეობის სოფლების ხალხის მოვლილ-გაკეთებულთაა.

თავისი სახლიდან, ძარწემიდან, სამსახურში - ქურთამდე მისვლას ნუნუ ჭოველიძე სწორედ 15 წუთს ანდობდა. 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში, ზუსტად ომის დაწყების წინ, მან და მისმა მეუღლემ ახალი, წლების განმავლობაში ნანატრი, მხოლოდ მათი საკუთარი სახლის მშენებლობა დაასრულეს. დღეს ამ სახლის ნანგრევებიც კი აღარ არსებობს. გამქრალია ნუნუს სახლი ძარწემში და ნუნუს საავადმყოფო ქურთაში. 2008 წლის ომის დროს დამწვარი და დაზარალებული სახლების ადგილას მოსუფთავებული მიწაა, ცარიელი, უარაფრო ტერიტორია. აღარც ხილის ბაღები, აღარც სახნავ-სათესი, აღარც სახლები. არაფერი. მხოლოდ სოფელ ძარწემში შენიშნავთ ერთ ადგილას შენობას - ეს რუსეთის სამხედრო ძალების ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ბაზაა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დიდი ლიახვის ხეობაში რუსულმა ტანკებმა გადაუარეს ზემო და ქვემო აზაბეთს, თამარაშენს, კეხეს, სევრს, ქემერტს, ქურთას, ძარწემს, ხეთს. პატარა ლიახვის ხეობაში არ დაინდეს ერედვი, ბერულა, არგვიცი, დისევი, ფრისი.

ეს ამბავი Google Earth-ის სატელიტურმა რუკამაც დაიმასხვრა.

2007 წელს - სოფლები ყვავის. 2009-ში ყველაფერი დანგრეულია - გადაწვარი სოფლები ბოლავს. 2017-ში - ყველაფერი ცარიელია, მოსუფთავებული: „ალბათ, რომ ვეღარ დავბრუნებულყავით“, - ამბობს ნუნუ ჭოველიძე.





